# სს „პაშა ბანკი საქართველო“

## შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება

*2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვითი შემოწმების ანგარიშთან ერთად*

# შინაარსი

**შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვითი შემოწმების ანგარიში**

**შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება**


ფინანსური მდგომარეობის შუალედური ანგარიშგება ..... 1
სრული შემოსავლის შუალედური ანგარიშგება ..... 2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შუალედური ანგარიშგება ..... 3
ფულადი ნაკადების შუალედური ანგარიშგება ..... 4


**შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების შერჩეული განმარტებითი შენიშვნები**


1. ძირითადი საქმიანობა ..... 5
2. მომზადების საფუძველი ..... 5
3. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ..... 8
4. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ..... 8
5. კლიენტებზე გაცემული სესხები ..... 9
6. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ..... 11
7. ძირითადი საშუალებები ..... 13
8. არამატერიალური აქტივები ..... 14
9. სხვა აქტივები და ვალდებულებები ..... 14
10. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე ..... 16
11. ვალდებულებები კლიენტების წინაშე ..... 16
12. გადასახადით დაბეგვრა ..... 17
13. საკუთარი კაპიტალი ..... 20
14. პირობითი ვალდებულებები ..... 20
15. წმინდა საკომისიო შემოსავალი ..... 22
16. თანამშრომლებზე გაწეული, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები ..... 23
17. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ..... 23
18. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები ..... 26
19. კაპიტალის ადეკვატურობა ..... 27

EY LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

Building a better working world

# შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვითი შემოწმების ანგარიში

სს „პაშა ბანკი საქართველოს" აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

ჩავატარეთ შპს „პაშა ბანკი საქართველოს" თანდართული შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვითი შემოწმება, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის შუალედური ანგარიშგებისგან 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული ექვსთვიანი პერიოდის სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების შუალედური ანგარიშგებისგან და შერჩეული განმარტებითი შენიშვნებისგან. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის - ბასს 34-ის, *„შუალედური ფინანსური ანგარიშგება"*, (შემდგომში „ბასს 34") მიხედვით. ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენ მიერ ჩატარებული მიმოხილვითი შემოწმების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ შემოკლებულ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## *მიმოხილვითი შემოწმების მასშტაბი*

შემოწმებას წარვმართავდით მიმოხილვითი შემოწმების ჩატარების 2410-ე საერთაშორისო სტანდარტის *„საწარმოს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვითი შემოწმება"* შესაბამისად. შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვითი შემოწმება, ძირითადად, გულისხმობს საფინანსო და ბუღალტრულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირების გამოკითხვას და ანალიტიკური თუ სხვა მიმოხილვითი პროცედურების ჩატარებას. მიმოხილვითი შემოწმება თავისი მასშტაბით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ჩატარებულ აუდიტორულ შემოწმებაზე გაცილებით უფრო მცირეა და ამიტომ იგი არ გვაძლევს საშუალებას მოვიპოვოთ იმის რწმუნება, რომ ჩვენთვის ცნობილი გახდება ყველა ის არსებითი საკითხი, რომლებიც აუდიტის პროცესში ვლინდება ხოლმე. შესაბამისად, აუდიტორულ მოსაზრებას არ გამოვთქვამთ.

A member firm of Ernst & Young Global Limited

EY

Building a better working world

*დასკვნა*

მიმოხილვითი შემოწმების პროცესში არ აღმოგვიჩენია მიზეზები, რომლებიც, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, თანდართული შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების ბასს 34-ის, *„შუალედური ფინანსური ანგარიშგება“*, შესაბამისად მომზადებაში ეჭვის შეტანის საფუძველს მოგვცემდა.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

2019 წლის 14 აგვისტო

თბილისი, საქართველო

## ფინანსური მდგომარეობის შუალედური ანგარიშგება.

## 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

*(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

| | *შენიშვნა* | *30 ივნისი, 2019 წ. (არააუდიტირებული)* | *31 დეკემბერი, 2018 წ.* |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 3 | 54,718 | 46,503 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 4 | 81,567 | 63,105 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 5 | 234,098 | 188,834 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 6 | 26,324 | 20,226 |
| ძირითადი საშუალებები | 7 | 11,482 | 2,136 |
| არამატერიალური აქტივები | 8 | 2,914 | 2,513 |
| მოგების გადასახადის აქტივები | | 91 | – |
| მოგების გადავადებული საგადასახადო აქტივები | 12 | 416 | 148 |
| სხვა აქტივები | 9 | 2,900 | 3,592 |
| **სულ აქტივები** | | **414,510** | **327,057** |
| **ვალდებულებები** | | | |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე | 10 | 145,829 | 110,262 |
| ვალდებულებები კლიენტების წინაშე | 11 | 152,384 | 104,539 |
| გარანტიებისა და აკრედიტივების ანარიცხები | 14 | 116 | 74 |
| საიჯარო ვალდებულება | | 6,998 | – |
| სხვა ვალდებულებები | 9 | 2,590 | 1,940 |
| **სულ ვალდებულებები** | | **307,917** | **216,815** |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 13 | 103,000 | 103,000 |
| გაუნაწილებელი მოგება | | 3,593 | 7,242 |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | | **106,593** | **110,242** |
| **სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | | **414,510** | **327,057** |

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ:

არდა იუსუფ არკუნი — დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

ჩინგიზ აბდულაევი — ფინანსური დირექტორი, დირექტორთა საბჭოს წევრი

14 აგვისტო, 2019 წ.

*5-29 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.*

## სრული შემოსავლის შუალედური ანგარიშგება

## 2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის

*(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

| | *შენიშვნა* | *2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის, (არააუდიტირებული)* | *2018 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის, (არააუდიტირებული)* |
|---|---|---|---|
| **ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი** | | | |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | | 9,828 | 6,236 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | | 1,753 | 1,283 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | | 1,149 | 2,373 |
| | | **12,730** | **9,892** |
| **საპროცენტო ხარჯი** | | | |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე | | (2,430) | (1,819) |
| ვალდებულებები კლიენტების წინაშე | | (1,548) | (468) |
| საიჯარო ვალდებულება | | (174) | – |
| | | **(4,152)** | **(2,287)** |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | | **8,578** | **7,605** |
| საკრედიტო ზარალის ხარჯი პროცენტიან აქტივებზე | 4, 5, 6, 14 | (1,691) | (543) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების ზარალის შემდეგ** | | **6,887** | **7,060** |
| **წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტიდან:** | | | |
| - გარიგებები | | 1,012 | 2,087 |
| - საკურსო სხვაობები | | 685 | (988) |
| წმინდა საკომისიო შემოსავალი | 15 | 346 | 183 |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | | – | 28 |
| **არასაპროცენტო შემოსავალი** | | **2,043** | **1,310** |
| თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი | 16 | (7,285) | (3,593) |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები | 16 | (3,030) | (1,987) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 7, 8 | (1,525) | (460) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | | (641) | – |
| გარანტიების გაუფასურებით გამოწვეული ზარალისთვის შექმნილი ანარიცხები | 14 | – | (2) |
| **არასაპროცენტო ხარჯი** | | **(12,481)** | **(6,042)** |
| **(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გათვალისწინებამდე** | | **(3,551)** | **2,330** |
| მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი | 12 | (98) | 241 |
| **პერიოდის წმინდა (ზარალი)/მოგება** | | **(3,649)** | **2,571** |
| სხვა სრული შემოსავალი | | – | – |
| **წლის მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი** | | **(3,649)** | **2,571** |

*5-29 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.*

## საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შუალედური ანგარიშგება

## 2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის

*(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

| | *საწესდებო კაპიტალი* | *გაუნაწილებელი მოგება* | *სულ კაპიტალი* |
|---|---|---|---|
| **1 იანვარი, 2018 წ.** | **103,000** | **3,807** | **106,807** |
| ფასს 9-ის მიღების ეფექტი | – | 246 | **246** |
| **ფასს 9-ის მიხედვით გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი** | **103,000** | **4,053** | **107,053** |
| 2018 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის წმინდა მოგება (არააუდიტირებული) | – | 2,571 | **2,571** |
| **2018 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი (არააუდიტირებული)** | **–** | **2,571** | **2,571** |
| **2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით (არააუდიტირებული)** | **103,000** | **6,624** | **109,624** |
| **2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **103,000** | **7,242** | **110,242** |
| 2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის წმინდა ზარალი (არააუდიტირებული) | – | (3,649) | **(3,649)** |
| **2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის სრული ზარალი (არააუდიტირებული)** | **–** | **(3,649)** | **(3,649)** |
| **2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით (არააუდიტირებული)** | **103,000** | **3,593** | **106,593** |

*5-29 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.*

# ფულადი ნაკადების შუალედური ანგარიშგება

## 2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის

*(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

| | *შენიშვნა* | *2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის, (არააუდიტი-რებული)* | *2018 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის, (არააუდიტი-რებული)* |
|---|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | | |
| მიღებული პროცენტი | | 12,644 | 10,421 |
| გადახდილი პროცენტი | | (2,477) | (1,723) |
| მიღებული საკომისიო | | 603 | 350 |
| გადახდილი საკომისიო | | (293) | (189) |
| უცხოურ ვალუტაში შემდგარი გარიგებებიდან ზარალით შემცირებული რეალიზებული შემოსულობა | | 1,012 | 2,087 |
| გადახდილი ხელფასები და თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები | | (6,772) | (3,868) |
| გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები | | (3,230) | (2,470) |
| სხვა მიღებული შემოსავალი | | – | 28 |
| **საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე** | | **1,487** | **4,636** |
| *საოპერაციო აქტივების წმინდა (ზრდა)/კლება* | | | |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | | (11,369) | (4,956) |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | | (36,273) | (35,614) |
| *საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა/(კლება)* | | | |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე | | 24,046 | 14,236 |
| ვალდებულებები კლიენტების წინაშე | | 40,533 | 11,217 |
| **წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადის გადახდამდე** | | **18,424** | **(10,481)** |
| მოგების გადახდილი გადასახადი | | (457) | – |
| **წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადის გადახდამდე** | | **17,967** | **(10,481)** |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | | |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა | | (7,184) | (6,223) |
| შემოსულობა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვიდან | | 1,180 | 21,100 |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | | (3,069) | (236) |
| შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან | | – | 28 |
| არამატერიალური აქტივების შეძენა | | (1,032) | (259) |
| **საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები** | | **(10,105)** | **14,410** |
| სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე | | 353 | (837) |
| **ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა** | | **8,215** | **3,092** |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში | 3 | 46,503 | 43,908 |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს** | 3 | **54,718** | **47,000** |

*5-29 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.*

*(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

## 1. ძირითადი საქმიანობა

სს „პაშა ბანკი საქართველო“ (შემდგომში, „ბანკი“) დაფუძნდა 2012 წლის 17 დეკემბერს, როგორც საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედი სააქციო საზოგადოება. ბანკი საქმიანობს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში, „სებ“) მიერ 2013 წლის 17 იანვარს გაცემული საბანკო ლიცენზიით (საიდენტიფიკაციო კოდი: 404433671).

ბანკი იღებს ანაბრებს, გასცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და სთავაზობს სხვა საბანკო მომსახურებას თავის კომერციულ კლიენტებს. ბანკის აქციონერებმა დაამტკიცეს ბანკის ახალი სტრატეგია მომდევნო სამწლიანი სტრატეგიული პერიოდისთვის, რომლის მიხედვითაც, ბანკის ხელმძღვანელობა 2019 წლის განმავლობაში რამდენიმე ინიციატივას განახორციელებს, ხოლო მომდევნო წლებში შევა საცალო ბაზრებზე.

2017 წლიდან ბანკი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის“ წევრია. სისტემა ფუნქციონირებს „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და აზღვევს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირების ყველა ტიპის დეპოზიტს 5,000 ლარამდე, გარკვეული გამონაკლისებით.

2019 წლის 30 ივნისისთვის ბანკს ერთი მომსახურების ფილიალი აქვს საქართველოში. ბანკის იურიდიული მისამართია: ლეონიძის ქ. 2 / გ. ტაბიძის ქ. 1 0105, თბილისი, საქართველო.

2019 წლის 30 ივნისისა და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკის ერთპიროვნული მფლობელი იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მდებარე კომპანია ღსს „პაშა ბანკი“ (შემდგომში, „მშობელი კომპანია“). ბანკის საბოლოო მფლობელები არიან ქ-ნი ლეილა ალიევა და ქ-ნი არზუ ალიევა, რომლებიც ბანკზე ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ.

წინამდებარე შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება მშობელი კომპანიის მიერ ჯერ არ დამტკიცებულა ბანკის აქციონერთა საერთო კრებაზე. აქციონერებს უფლება აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანონ მისი გამოშვების შემდეგ.

## 2. მომზადების საფუძველი

2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი („ბასს“) 34-ის *„შუალედური ფინანსური ანგარიშგება“* შესაბამისად.

ბანკს აღრიცხვის წარმოება და მარეგულირებელი ორგანოებისთვის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ლარში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად მოეთხოვება. შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ყველა იმ ინფორმაციას და განმარტებით შენიშვნას, რაც წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის მოითხოვება, ამიტომ ის ბანკის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად უნდა იქნეს წაკითხული.

წინამდებარე შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

### ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს მიღებული სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება იმ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ბანკმა გამოიყენა 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გარდა 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ახალი სტანდარტების გამოყენებისა. ამ ცვლილებების ხასიათი და გავლენა აღწერილია ქვემოთ. ბანკს ვადაზე ადრე არ მიუღია სხვა რომელიმე სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

*(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

## 2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

### ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

2019 წელს რამდენიმე სხვა ცვლილება და ინტერპრეტაცია მოქმედებს პირველად, მაგრამ გავლენას არ ახდენს ბანკის შემოკლებულ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

*ფასს (IFRS) 16 „იჯარა“*

ფასს (IFRS) 16 ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს *„იჯარა“*, ფასიკ (IFRIC) *4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“*, იმკ (SIC) 15-ს *„საოპერაციო იჯარა – სტიმულირება“* და იმკ (SIC) 27-ს *„გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“*. სტანდარტში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს იჯარის უმეტესობის აღრიცხვას ერთ საბალანსო უწყისზე.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის მიხედვით აღრიცხვისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ბანკმა ფასს 16 მიიღო მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით 2019 წლის 1 იანვრის, ანუ თავდაპირველი გამოყენების თარიღით. ამ მეთოდის მიხედვით, სტანდარტი გამოიყენება რეტროსპექტულად, თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის აღიარებული სტანდარტის პირველადი გამოყენების კუმულაციური ეფექტით. ბანკმა არჩია სტანდარტზე გადასვლის პრაქტიკული მიზანშეწონილობით ესარგებლა, რომელიც საშუალებას იძლევა, თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის სტანდარტი გაავრცელოს მხოლოდ იმ ხელშეკრულებებზე, რომლებიც მანამდე იჯარებად იყო განსაზღვრული ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის მიხედვით. ბანკმა ასევე არჩია აღიარებიდან გამონაკლისების გამოყენება საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომლებსაც, იჯარის დაწყების თარიღისთვის, მაქსიმუმ, 12-თვიანი ვადა აქვთ და არ შეიცავენ შესყიდვის უფლებას („მოკლევადიანი იჯარები“) და საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომელთა საბაზისო აქტივი დაბალი ღირებულებისაა („დაბალი ღირებულების მქონე აქტივები“).

ფასს 16-ის მიღებისას ბანკმა აღიარა იმ იჯარებთან დაკავშირებული საიჯარო ვალდებულებები, რომლებიც მანამდე „საოპერაციო იჯარებად“ იყო კლასიფიცირებული ბასს 17-ის *„იჯარა“* მიხედვით. ეს საიჯარო ვალდებულება შეფასდა დარჩენილი საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომლებიც დისკონტირდა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბანკის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით. 2019 წლის 1 იანვარს საიჯარო ვალდებულებებზე გამოყენებული შეწონილი საშუალო ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი 5% იყო.

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები შეფასდა ფასს 16-ზე გადასვლისთანავე საიჯარო ვალდებულების თანაბარი ოდენობით და დაკორექტირდა წინასწარ გადახდილი თანხებით, რომლებიც ბანკმა მაშინვე, თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე, აღიარა. შესაბამისად, 2019 წლის 1 იანვარს ბანკს არ უღიარებია ფასს 16-ზე გადასვლის ეფექტი თავის გაუნაწილებელ მოგებაზე.

ფასს 16-ზე გადასვლის ეფექტი ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ასეთი იყო:

| | *ფასს 16-ზე გადასვლის ეფექტი* |
|---|---|
| **გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები** | **6,463** |
| გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივებად რეკლასიფიცირებული ავანსები | (199) |
| **საიჯარო ვალდებულება** | **6,264** |

*(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

## 2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

### ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში შეჯერებულია ბანკის მიერ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცხადებული ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ახალი სტანდარტის მიხედვით აღიარებული საიჯარო ვალდებულებები.

| | |
|---|---|
| **2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღიარებული საიჯარო ვალდებულებები** | **6,264** |
| ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით დისკონტირების ეფექტი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | 822 |
| *დამატებული:* | |
| მოკლევადიანი იჯარები | 38 |
| შეწყვეტილ იჯარებთან დაკავშირებული ვალდებულებები | 7,822 |
| **საოპერაციო იჯარის ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის წინა წლის ფინანსური ანგარიშგებების თანახმად** | **14,946** |

2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის განმავლობაში ბანკმა აღიარა 650 ათასი ლარის იჯარის ხარჯი ამ პერიოდში წარმოქმნილ მოკლევადიან იჯარებზე.

*(ა) ფასს 16-ის მიღების ეფექტის ხასიათი*

ბანკს ძირითადი საშუალებების სხვადასხვა ობიექტზე საიჯარო ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული. ფასს 16-ზე გადასვლამდე ბანკი თითოეული თავისი იჯარის კლასიფიკაციას (როგორც მოიჯარე) ახდენდა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის საფინანსო ან საოპერაციო იჯარად. იჯარა კლასიფიცირდებოდა ფინანსურ იჯარად, თუ იგი ბანკს გადასცემდა საიჯარო აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს; სხვა შემთხვევაში იგი საოპერაციო იჯარად განისაზღვრებოდა. ფინანსური იჯარა კაპიტალიზდებოდა იჯარის ვადის ათვლის დაწყების თარიღისთვის საიჯარო ქონების სამართლიანი ღირებულებით, ან მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, თუ ეს უკანასკნელი უფრო ნაკლებს შეადგენდა. საიჯარო გადასახდელები ნაწილდებოდა პროცენტსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო ქონება არ კაპიტალიზდა და საიჯარო გადასახდელები აღიარებული იქნა საიჯარო ხარჯად მოგებაში ან ზარალში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. ყოველგვარი საიჯარო ავანსი აღიარებული იქნა სხვა აქტივებში, ხოლო დარიცხული იჯარა – სხვა ვალდებულებებში.

ფასს 16-ის მიღებისას ბანკმა გამოიყენა აღიარების და შეფასების ერთი მიდგომა ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. ეს სტანდარტი შეიცავს მასზე გადასვლის კონკრეტულ მოთხოვნებს და პრაქტიკულ მიზანშეწონილობას, რომლებიც ბანკმა გამოიყენა.

<u>იჯარები, რომლებიც მანამდე საოპერაციო იჯარებად იყო აღრიცხული</u>

ბანკმა აღიარა გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები და საიჯარო ვალდებულებები იმ იჯარებზე, რომლებიც მანამდე საოპერაციო იჯარებად იყო კლასიფიცირებული, გარდა მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები იჯარების უმეტესობის შემთხვევაში აღიარებულია საბალანსო ღირებულების საფუძველზე, ისე, თითქოს სტანდარტი ყოველთვის გამოიყენებოდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გამოიყენება ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის. ზოგიერთი იჯარისთვის გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების აღიარება მოხდა საიჯარო ვალდებულებების ტოლი თანხის ოდენობით, რომელიც დაკორექტირდა მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მანამდე აღიარებული წინასწარ გადახდილი და დარიცხული საიჯარო გადასახდელებით. საიჯარო ვალდებულებების აღიარება მოხდა დარჩენილი საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულების საფუძველზე თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

*(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

## 2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

### ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

განახლების ოფციონის მქონე ხელშეკრულებების იჯარის ვადის განსაზღვრა განსჯის საფუძველზე

ბანკი იჯარის ვადას განსაზღვრავს, როგორც იჯარის შეუქცევად ვადას იმ ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომელსაც მოიცავს იჯარის გახანგრძლივების ოფციონი, თუ არსებობს ამ ოფციონის გამოყენების გონივრული რწმენა, ან ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომლებსაც მოიცავს იჯარის შეწყვეტის ოფციონი, თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ მისი გამოყენება არ მოხდება.

## 3. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

| | *2019 წლის 30 ივნისი (არააუდიტი-რებული)* | *31 დეკემბერი, 2018 წ.* |
|---|---|---|
| ნაღდი ფული სალაროში | 2,507 | 1,225 |
| მიმდინარე ანგარიშები სებ-ში | 447 | 398 |
| მიმდინარე ანგარიშები საკრედიტო დაწესებულებებში | 7,969 | 8,237 |
| 90 დღემდე ვადიანი დეპოზიტი საკრედიტო დაწესებულებებში | 43,795 | 36,643 |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები** | **54,718** | **46,503** |

2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საკრედიტო დაწესებულებებში ლარში, აშშ დოლარსა და ევროში გამოხატული მიმდინარე ანგარიშები და ვადიანი ანაბრები წარმოადგენს მთლიანი მიმდინარე ანგარიშების და ვადიანი ანაბრების 43.20%-ს, 39.82%-სა და 16.20%-ს, შესაბამისად (2018 წლის 31 დეკემბერი: ლარი 43.75%, აშშ დოლარი 26.34%, ევრო 29.72%).

ფულადი სახსრების ეკვივალენტების ყველა ნაშთი 1-ელ ეტაპს მიეკუთვნება. ბანკის ფულადი სახსრების ეკვივალენტებთან დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ნულს უდრის.

## 4. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს:

| | *30 ივნისი, 2019 წ. (არააუდიტი-რებული)* | *31 დეკემბერი, 2018 წ.* |
|---|---|---|
| სავალდებულო რეზერვები სებ-ში | 74,054 | 43,001 |
| 90 დღეზე მეტი ვადის მქონე ანაბარი | 7,516 | 20,395 |
| **მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ** | **81,570** | **63,396** |
| გამოკლებული – გაუფასურების რეზერვი | (3) | (291) |
| **მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ** | **81,567** | **63,105** |

საკრედიტო დაწესებულებებს ევალებოდათ საქართველოს ეროვნულ ბანკში სავალდებულო პროცენტიანი დეპოზიტის გახსნა საკრედიტო დაწესებულების მიერ კლიენტებისგან და არარეზიდენტი ფინანსური დაწესებულებებისგან შესაბამის ორკვირიან ვადაში ეროვნულ ვალუტაში მოზიდული საშუალო სახსრების 5%-ისა და უცხოურ ვალუტაში მოზიდული საშუალო სახსრების 30%-ის ოდენობით.

*(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

## 4. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ (გაგრძელება)

ვადიანი ანაბრები მოიცავს ერთ რეზიდენტ კომერციულ ბანკში აშშ დოლარში განთავსებულ ანაბარს, რომლის ვადაც 2019 წლის ივლისამდეა (2018 წლის 31 დეკემბერი: რეზიდენტ კომერციულ ბანკებში აშშ დოლარსა და ლარში განთავსებული ანაბრები, რომელთა ვადაც მერყეობს 2019 წლის მაისიდან 2019 წლის ივლისამდე).

2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის განმავლობაში 90 დღეზე მეტი ვადის მქონე ვადიანი ანაბრების საერთო საბალანსო ღირებულებასა და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებების ანალიზი:

| | *საერთო საბალანსო ღირებულება* | *მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი* |
|---|---|---|
| **2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **20,395** | **(291)** |
| წარმოქმნილი ახალი აქტივები | 575 | (2) |
| გადახდილი აქტივები | (13,541) | 289 |
| სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა | 87 | 1 |
| **2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით** | **7,516** | **(3)** |

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილების ანალიზი 2018 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის ასეთია:

| | *მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი* |
|---|---|
| **2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **(49)** |
| წარმოქმნილი ახალი აქტივები | (682) |
| გადახდილი აქტივები | 41 |
| სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა | (148) |
| **2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით** | **(838)** |

## 5. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

| | *30 ივნისი, 2019 წ. (არააუდიტირებული)* | *31 დეკემბერი, 2018 წ.* |
|---|---|---|
| კორპორატიული | 143,124 | 163,285 |
| კომერციული | 94,851 | 27,121 |
| სამომხმარებლო | 303 | 841 |
| **კლიენტებზე გაცემული სესხები** | **238,278** | **191,247** |
| გამოკლებული – გაუფასურების რეზერვი | (4,180) | (2,413) |
| **კლიენტებზე გაცემული სესხები** | **234,098** | **188,834** |

კომერციული სესხები მოიცავს საშუალო ზომის კომპანიებზე გაცემულ სესხებს, რომელთა წლიური შემოსავალი 1,500 ათასი ლარიდან 10,000 ათას ლარამდეა. ბანკმა კომერციული სესხების გაცემა 2018 წელს დაიწყო.

*(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

## 5. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის განმავლობაში კლიენტებზე გაცემული სესხების საერთო საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების ანალიზი:

| | *კორპორატიული* | *კომერციული* | *სამომხმარებლო* | *სულ* |
|---|---|---|---|---|
| **საერთო საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **163,285** | **27,121** | **841** | **191,247** |
| წარმოქმნილი ახალი აქტივები | 98,518 | 80,717 | – | **179,235** |
| გადახდილი აქტივები | (124,350) | (18,046) | (467) | **(142,863)** |
| ჩამოწერილი თანხები | – | – | (70) | **(70)** |
| სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა | 5,671 | 5,059 | (1) | **10,729** |
| **2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით** | **143,124** | **94,851** | **303** | **238,278** |

კლიენტებზე გაცემული სესხების ყველა ნაშთი 1-ელ ეტაპს მიეკუთვნება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილების ანალიზი 2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის ასეთია:

| | *კორპორატიული* | *კომერციული* | *სამომხმარებლო* | *სულ* |
|---|---|---|---|---|
| **მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **(1,891)** | **(437)** | **(85)** | **(2,413)** |
| წარმოქმნილი ახალი აქტივები | (1,006) | (1,641) | (4) | **(2,651)** |
| გადახდილი აქტივები | 647 | 167 | 13 | **827** |
| ჩამოწერილი თანხები | – | – | 70 | **70** |
| სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა | 77 | (90) | – | **(13)** |
| **2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით** | **(2,173)** | **(2,001)** | **(6)** | **(4,180)** |

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილების ანალიზი 2018 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის ასეთია:

| | *კორპორატიული* | *კომერციული* | *სამომხმარებლო* | *სულ* |
|---|---|---|---|---|
| **მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **(2,221)** | **–** | **(81)** | **(2,302)** |
| წარმოქმნილი ახალი აქტივები | (706) | – | (11) | **(717)** |
| გადახდილი აქტივები | 77 | – | 8 | **85** |
| სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა | 147 | – | – | **147** |
| **2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით** | **(2,703)** | **–** | **(84)** | **(2,787)** |

2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ბანკის მსესხებლების სამი უმსხვილესი ჯგუფისგან მისაღები თანხების საერთო ოდენობა 63,015 ათას ლარს შეადგენდა, რაც მთლიანი სასესხო პორტფელის 26.45% იყო (2018 წლის 31 დეკემბერი: 82,188 ათასი ლარი, რაც მთლიანი სასესხო პორტფელის 42.97%-ს შეადგენდა). აღნიშნული სესხებისათვის 524 ათასი ლარის ოდენობის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი შეიქმნა (2018 წლის 31 დეკემბერი: 639 ათასი ლარი).

*(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

## 5. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

გაცემული სესხების განაწილება დარგების მიხედვით ასეთია:

| | *30 ივნისი, 2019 წ. (არააუდიტი-რებული)* | *31 დეკემბერი, 2018 წ.* |
|---|---|---|
| ვაჭრობა და მომსახურება | 122,493 | 81,456 |
| არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები | 48,134 | 59,158 |
| უძრავი ქონების მართვა | 44,248 | 21,986 |
| მშენებლობა | 15,187 | 5,208 |
| ენერგეტიკა | 6,180 | 6,343 |
| სამთო მრეწველობა | 1,023 | 775 |
| ფიზიკური პირები | 303 | 841 |
| ტრანსპორტირება და ტელეკომუნიკაცია | – | 14,765 |
| სხვა | 710 | 715 |
| | **238,278** | **191,247** |

სესხების გასაცემად ბანკი მოითხოვს უზრუნველყოფის საგანს და კრედიტის ხარისხის გაუმჯობესების სხვა საშუალებებს. უზრუნველყოფის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. მიღებული უზრუნველყოფის საგნის ძირითადი ტიპები არის უძრავი ქონების იპოთეკა და მშობელი კომპანიისგან მიღებული თავდებობა. ბანკი ასევე იღებს გარანტიებს მშობელი კომპანიებისგან მათი შვილობილ კომპანიებისთვის გაცემული სესხებისთვის. ხელმძღვანელობა ახდენს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულების მონიტორინგს, მოითხოვს დამატებით უზრუნველყოფას სესხის ხელშეკრულების თანახმად და თვალყურს ადევნებს სესხის გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობის გადახედვისას მიღებული უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას.

## 6. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ძირითადად მოიცავდა ფინანსური დაწესებულებებისა და საქართველოში რეგისტრირებული სხვა კომპანიების სავალო ფასიან ქაღალდებს.

| | *30 ივნისი, 2019 წ. (არააუდიტი-რებული)* | *31 დეკემბერი, 2018 წ.* |
|---|---|---|
| **ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები** | | |
| კორპორაციული ობლიგაციები | 20,198 | 18,566 |
| ფინანსური დაწესებულებების ობლიგაციები | 6,464 | 1,902 |
| | **26,662** | **20,468** |
| გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი | (338) | (242) |
| **სულ სავალო ფასიანი ქაღალდები** | **26,324** | **20,226** |

*(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

## 6. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები (გაგრძელება)

2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის განმავლობაში საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების საერთო საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების ანალიზი:

| | *კორპორაციული ობლიგაციები* | *ფინანსური დაწესებულებების ობლიგაციები* | *სულ* |
|---|---|---|---|
| **საერთო საბალანსო ღირებულება** | | | |
| **2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **18,566** | **1,902** | **20,468** |
| წარმოქმნილი ახალი აქტივები | 2,700 | 4,484 | **7,184** |
| გადახდილი აქტივები | (1,190) | – | **(1,190)** |
| სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა | 122 | 78 | **200** |
| **2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით** | **20,198** | **6,464** | **26,662** |

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილების ანალიზი 2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის ასეთია:

| | *კორპორაციული ობლიგაციები* | *ფინანსური დაწესებულებების ობლიგაციები* | *სულ* |
|---|---|---|---|
| **მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი** | | | |
| **2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **(203)** | **(39)** | **(242)** |
| წარმოქმნილი ახალი აქტივები | (25) | (99) | **(124)** |
| გადახდილი აქტივები | 19 | – | **19** |
| სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა | 9 | – | **9** |
| **2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით** | **(200)** | **(138)** | **(338)** |

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ყველა ნაშთი მიეკუთვნა 1-ელ ეტაპს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილების ანალიზი 2018 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის ასეთია:

| | *კორპორაციული ობლიგაციები* | *ფინანსური დაწესებულებების ობლიგაციები* | *ფინანსური დაწესებულებების სადეპოზიტო სერტიფიკატები* | *სულ* |
|---|---|---|---|---|
| **მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **(27)** | **(793)** | **(45)** | **(865)** |
| წარმოქმნილი ახალი აქტივები | (24) | – | – | **(24)** |
| გადახდილი აქტივები | – | 773 | – | **773** |
| სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობა | – | – | 3 | **3** |
| **2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით** | **(51)** | **(20)** | **(42)** | **(113)** |

*(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

## 7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა ასეთია:

| | *ავეჯი და მოწყობი-ლობები* | *კომპიუ-ტერული ტექნიკა და აღჭურ-ვილობა* | *სატრან-სპორტო საშუალებები* | *სხვა აღჭურ-ვილობა* | *საიჯარო გაუმჯო-ბესებები* | *გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები* | *სულ* |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| თვითღირებულება | | | | | | | |
| 31 დეკემბერი, 2017 წ. | 1,852 | 3,013 | 380 | 497 | 1,916 | – | 7,658 |
| შემოსვლები (არააუდიტირებული) | 13 | 72 | 151 | – | – | – | 236 |
| გასვლები და ჩამოწერები (არააუდიტირებული) | – | (6) | (48) | (3) | – | – | (57) |
| 30 ივნისი, 2018 წ. (არააუდიტირებული) | 1,865 | 3,079 | 483 | 494 | 1,916 | – | 7,837 |
| 31 დეკემბერი, 2018 წ. | 2,130 | 3,918 | 525 | 579 | 2,070 | – | 9,222 |
| ფასს 16-ზე გადასვლის ეფექტი | – | – | – | – | – | 6,264 | 6,264 |
| 1 იანვარი, 2019 წ. | 2,130 | 3,918 | 525 | 579 | 2,070 | 6,264 | 15,486 |
| შემოსვლები (არააუდიტირებული) | 873 | 616 | – | 92 | 1,506 | 1,131 | 4,218 |
| გასვლები და ჩამოწერები (არააუდიტირებული) | (982) | (293) | – | (264) | (1,921) | – | (3,460) |
| 30 ივნისი, 2019 წ. (არააუდიტირებული) | 2,021 | 4,241 | 525 | 407 | 1,655 | 7,395 | 16,244 |
| დაგროვილი ცვეთა | | | | | | | |
| 31 დეკემბერი, 2017 წ. | (1,827) | (2,399) | (189) | (425) | (1,912) | – | (6,752) |
| ცვეთის დანარიცხი (არააუდიტირებული) | (9) | (101) | (43) | (38) | – | – | (191) |
| გასვლები და ჩამოწერები (არააუდიტირებული) | – | 6 | 48 | – | – | – | 54 |
| 30 ივნისი, 2018 წ. (არააუდიტირებული) | (1,836) | (2,494) | (184) | (463) | (1,912) | – | (6,889) |
| 31 დეკემბერი, 2018 წ. და 1 იანვარი, 2019 წ. | (1,846) | (2,609) | (247) | (467) | (1,917) | – | (7,086) |
| ცვეთის დანარიცხი (არააუდიტირებული) | (55) | (213) | (52) | (14) | (71) | (721) | (1,126) |
| გასვლები და ჩამოწერები (არააუდიტირებული) | 978 | 292 | – | 261 | 1,919 | – | 3,450 |
| 30 ივნისი, 2019 წ. (არააუდიტირებული) | (923) | (2,530) | (299) | (220) | (69) | (721) | (4,762) |
| წმინდა საბალანსო ღირებულება | | | | | | | |
| 30 ივნისი, 2018 წ. (არააუდიტირებული) | 29 | 585 | 299 | 31 | 4 | – | 948 |
| 31 დეკემბერი, 2018 წ. | 284 | 1,309 | 278 | 112 | 153 | – | 2,136 |
| 30 ივნისი, 2019 წ. (არააუდიტირებული) | 1,098 | 1,711 | 226 | 187 | 1,586 | 6,674 | 11,482 |

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები 2019 წლის 30 ივნისისთვის, ძირითადად, შედგება შენობება-ნაგებობებისგან, რომელთა თვითღირებულება 6,952 ლარი, ხოლო წმინდა საბალანსო ღირებულება 6,275 ლარია. დარჩენილი ნაშთი მიკუთვნებადია სატრანსპორტო საშუალებებისთვის.

*(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

## 8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების დინამიკა ასეთი იყო:

| | *ლიცენზიები* | *კომპიუტერული პროგრამები* | *სულ* |
|---|---|---|---|
| **თვითღირებულება** | | | |
| **31 დეკემბერი, 2017 წ.** | **989** | **1,993** | **2,982** |
| შიდა გადაცემა (არააუდიტირებული) | (838) | 838 | – |
| შემოსვლები (არააუდიტირებული) | – | 259 | **259** |
| ჩამოწერა (არააუდიტირებული) | – | (164) | **(164)** |
| **30 ივნისი, 2018 წ. (არააუდიტირებული)** | **151** | **2,926** | **3,077** |
| **31 დეკემბერი, 2018 წ.** | **151** | **3,615** | **3,766** |
| შემოსვლები (არააუდიტირებული) | – | 1,432 | **1,432** |
| ჩამოწერა (არააუდიტირებული) | – | (1,258) | **(1,258)** |
| **30 ივნისი, 2019 წ. (არააუდიტირებული)** | **151** | **3,789** | **3,940** |
| **დაგროვილი ამორტიზაცია** | | | |
| **31 დეკემბერი, 2017 წ.** | **(320)** | **(540)** | **(860)** |
| დაგროვილი ამორტიზაციის შიდა გადაცემა (არააუდიტირებული) | 260 | (260) | – |
| ამორტიზაციის დანარიცხი (არააუდიტირებული) | (9) | (260) | **(269)** |
| ჩამოწერა (არააუდიტირებული) | – | 164 | **164** |
| **30 ივნისი, 2018 წ. (არააუდიტირებული)** | **(69)** | **(896)** | **(965)** |
| **31 დეკემბერი, 2018 წ.** | **(77)** | **(1,176)** | **(1,253)** |
| ამორტიზაციის დანარიცხი (არააუდიტირებული) | (7) | (392) | **(399)** |
| ჩამოწერა (არააუდიტირებული) | – | 626 | **626** |
| **30 ივნისი, 2019 წ. (არააუდიტირებული)** | **(84)** | **(942)** | **(1,026)** |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება** | | | |
| **30 ივნისი, 2018 წ. (არააუდიტირებული)** | **82** | **2,030** | **2,112** |
| **31 დეკემბერი, 2018 წ.** | **74** | **2,439** | **2,513** |
